დანართი №1

დამტკიცებულია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის
31 დეკემბერი №184/021-01 ბრძანებით

1. კონკურსის მიზანი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევა (შემდგომში კანდიდატი).

2. კომისიის შემადგენლობა

კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.

3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. ჩაატაროს კონკურსი მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების საფუძველზე;
2. კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

a) კონკურსის პირველ ეტაპზე გადაირჩევა წარმოდგენილი საბუთები. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 16 დეკემბრის # 177/02-01 ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბუთების სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კონკურსში მონაწილეობის მსურველი გადადის მეორე ეტაპზე.
b) კონკურსის მეორე ეტაპი ტარდება ზეპირი გასაუბრების ფორმით. კონკურსის მეორე ეტაპზე მონაწილე კონკურსანტთა შეფასება მოხდება ქულობრივი სისტემით, ქულების ამ წესით დადგენილი პროპორციული გადანაწილებით შემდეგ კომპონენტებზე (მაქსიმალური შეფასება განისაზღვროს 50 ქულით):

- სამართლებრივი აქტების ცოდნა და ანალიზის უნარი – 30 ქულა
- პრეზენტაბელურობა _ 10 ქულა.
- უცხო ენის ცოდნა _ 10 ქულა.

3. თითოეული კონკურსანტი შეფასდება ინდივიდუალურად კომისიის ყოველი წევრის მიერ. ქულების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. კანდიდატად შეირჩევა კონკურსში მონაწილე საუკეთესო შედეგის მქონე კონკურსანტი.
4. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავისი ხმა გადასცეს კომისიის სხვა წევრს.

5. კომისიის მუშაობისას დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
6. კომისიას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი, რომელიც კენჭისყრაში მონაწილეობას არ იღებს.

4.დავის გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.